



შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ელექტრობა

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ პავლიაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის 28, წერონისის 208

ტელ: 2 24 95 57; 593 30 32 11

www.bta.edu.ge email: btaedu@yahoo.com

თბილისი 2019 წ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა / Electricity
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი , რომლის საფუძველზე შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 07313-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას“.

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტროობაში. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი დაბალი დაბვის ელექტროობაში, მაღლი დაბვის ელექტროობაში, მექატრონიკაში და რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

5. დაშვების წინაპირობები

- საბაზო განათლება;

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

- **ელექტროობის** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერჯიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413.

7. სტრუქტურა და მოდულები

„ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით. 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით. ელექტროობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **52** კრედიტი.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენა A2 15 კრედიტი

ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 52 კრედიტი , სწავლის ხანგძლივობა 10 სასწავლო თვე
 არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 67 კრედიტი , სწავლის ხანგძლივობა 13 სასწავლო თვე

№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	2
2	საინჟინრო ხაზვა	4
3	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
4	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	4
	ჯამი:	14
№	საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	უცხოური ენა	4
2	მეწარმეობა 1	2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1
	ჯამი	10
№	პროფესიული მოდულები - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - ელექტროობაში	კრედიტი
1	ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტროობაში	4

2	ელექტრული ტექნოლოგია	4
3	ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება	4
4	ელექტრული მონტაჟი	4
5	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
6	საინჟინრო პროექტი	8
	ჯამი	28

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა . მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულეზზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

1. სასწავლო გეგმა **დანართი 1**
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი **დანართი 2**
3. მეწარმეობა **1 დანართი 3**
4. ინფორმაციული წიგნიერება **1 დანართი 4**
5. უცხოური ენა -ინგლისური **დანართი 5**
6. პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები **დანართი 6**
7. გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში **დანართი 7**
8. საინჟინრო ხაზვა **დანართი 8**
9. ელექტრული და ელექტრონული პრინციპები **დანართი 9**
10. კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში **დანართი 10**
11. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტრობაში **დანართი 11**
12. ელექტრული ტექნოლოგია **დანართი 12**
13. ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება **დანართი 13**
14. ელექტრული მონტაჟი **დანართი 14**
15. მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის **დანართი 15**
16. საინჟინრო პროექტი **დანართი 16**
17. ქართული ენა A2 **დანართი 17**
18. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი **დანართი 18**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -
ელექტრობა

დანართი

სასწავლო გეგმა

არაქართულენოვანი პროფესიული
სტუდენტებისათვის

		I სასწავლო წელი																
N	პრედიტი	მოდულის დასახელება	სასწავლო კვირა											სულ	საკონტაქტო	დამ. მეცად.	შეფასება	
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11*					
1	15	ქართული ენა A2	37	37	37	37	37	38	38	38	38	38			375	283	80	12
	15	სულ	37	37	37	37	37	38	38	38	38	38	0	375	283	80	12	

#	მოდული	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1.	გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში	მალხაზ ახვლედიანი	<p>III თანრიგის მორიგე ელ ზეინკალი (სამთო სამუშაოებისთვის)</p> <p>01.01.2016-01.02.2017 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების უზრუნველყოფის ცენტრი შტატგარეშე ელექტრიკოსი</p> <p>01.11.2016-დღემდე შპს „ალკორითეილ გრუპი“ ელექტრიკოსი</p>	
2.	საინჟინრო ხაზვა	ზურა პავლიაშვილი	<p>ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია</p> <p>2007-2014 წწ. სს“ენერგო პრო ჯორჯია“ ჰიდროელექტროსადგურების უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, უსაფრთხოების ტექნიკის მთავარი სპეციალისტი</p>	
3.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	შოთა ბაზაძე	<p>ინჟინრის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემის და</p>	

			განაწილების სპეციალობით საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი	
4.	კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში	ზურა პავლიაშვილი	ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია 2007-2014 წწ. სს“ენერჯო პრო ჯორჯია“ ჰიდროელექტროსადგურების უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, უსაფრთხოების ტექნიკის მთავარი სპეციალისტი	
5.	უცხოური ენა ინგლისური	თეა ჩხიკვაძე	ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით	
6.	მეწარმეობა 1	თინა შელია	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი ფინანსების სპეციალობით • ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი მენეჯმენტში • 4 წლიანი გამოცდილება ბუღალტრის თანამდებობაზე 	
7.	ინფორმაციული წიგნიერება 1	გურამ მეტეხელი	აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაცია- ინჟინერ ეკონომისტის	

			კვალიფიკაცია 3 წლიანი გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი (სპეციალისტი)	
8.	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	ციური ცერცვაძე	ფსიქოლოგ დევექტოლოგის კვალიფიკაცია	
9.	ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტროობაში	ზურა პავლიაშვილი	ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია 2007-2014 წწ. სს“ენერგო პრო ჯორჯია“ ჰიდროელექტროსადგურების უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, უსაფრთხოების ტექნიკის მთავარი სპეციალისტი	
10.	ელექტრული ტექნოლოგია	შოთა ბაზაძე	ინჟინრის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემის და განაწილების სპეციალობით საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი	
11.	ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება	შოთა ბაზაძე	ინჟინრის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემის და განაწილების სპეციალობით საინჟინრო მეცნიერებათა	

			ბაკალავრის აკადემიური ხარისხი	
12.	ელექტრული მონტაჟი	ზურაბ პავლიაშვილი	ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია 2007-2014 წწ. სს“ენერგო პრო ჯორჯია“ ჰიდროელექტროსადგურების უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, უსაფრთხოების ტექნიკის მთავარი სპეციალისტი	
13.	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	ლელა დეკანოიძე	ფიზიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია	
14.	საინჟინრო პროექტი	ზურაბ პავლიაშვილი	ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია 2007-2014 წწ. სს“ენერგო პრო ჯორჯია“ ჰიდროელექტროსადგურების უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, უსაფრთხოების ტექნიკის მთავარი სპეციალისტი	
15.	ქართული ენა A2	ნატო ბოლქვაძე	<ul style="list-style-type: none"> ფილოლოგის- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი 	